



MES 4 22 0001459691



15/11/2022

**სააპელაციო საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი : 01.11.2022

სხდომის დაწყების დრო: 16:00 საათი

სხდომის დასრულების დრო: 17:48 საათი

საბჭოს თავმჯდომარე : ირაკლი ბურდული

სხდომის მდივანი: არჩილ სუმბაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში - დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

გივი გაგნიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი“ პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი ;

არჩილ სუმბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქს ვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი - სხდომის მდივანი;

გიორგი ტრაპაიძე - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

კახაბერ ფარცვანია - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი;

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	ლალი ოდიშვილი	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ნანა მიქავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	გოდერძი ბუჩაშვილი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი
	კონსტანტინე თოფურია	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	რექტორი
	სოსო გოგილიძე		პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში
	არჩილ ჯანგირაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
	მირზა-პაპუნა დავითაია		კინოწარმოების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
	ქეთევან გეგიაძე		საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი
	ლუკა ბერაია		აუდიტისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი
	თეონა შუმტაკაშვილი		ავტორიზაციის განყოფილების უფროსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. სააპელაციო საბჭოს მდივანი არ ესწრებოდა საბჭოს, ამიტომ, ამავე მუხლის შესაბამისად, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაევალა საბჭოს წევრს, **არჩილ სუმბაძეს**.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სითითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁷ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
 ✓ არა

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კინოწარმოება / Filmmaking
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
4	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
5	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი / Master of Audiovisual Arts
6	სწავლების ენა	ქართული
7	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
8	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
 ✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარე, ირაკლი ბურდული მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და შეახსენა, რომ 2022 წლის 28 სექტემბრის №1180398 გადაწყვეტილებით, მათ წარმოებაში მიიღეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრი. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 02 აგვისტოს №868258 გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სთხოვა სხდომაზე დამსწრე პირებს, გააცნონ ის ძირითადი პოსტულატები, რასაც ემყარება მათი სააპელაციო საჩივარი.

დაწესებულების წარმომადგენელი, არჩილ ჯანგირაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ გაამახვილებს ყურადღებას რამდენიმე სამართლებრივ ფაქტორზე, რადგან, მისი განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოება არის სამართლებრივი და სამართლებრივ გარემოებებს აქვს არსებითი მნიშვნელობა. მისი განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მხედველობაში მიიღო აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც კინოწარმოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უნდა მინიჭებოდა აკრედიტაცია. ასევე განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა რეკომენდაციები, მაგრამ გადაწყვეტილებაში რამდენიმე გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, აკრედიტაციის საბჭომ დაამატა სამი რეკომენდაცია. არჩილ ჯანგირაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტორზე, რომ გადაწყვეტილებასა და შესაბამისი სხდომის ოქმში სხვა არავითარი განსხვავება არ იყო ექსპერტების რეკომენდაციასა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ ახალი გარემოების დადგენას შორის. ასევე განაცხადა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტს აკრედიტაციის საბჭოზე ჰქონდა თავისი არგუმენტაცია, თუ რატომ არ ეთანხმებოდა რეკომენდაციებს და დაწესებულებას, რა თქმა უნდა, შესაბამისი დასაბუთებები ჰქონდა წარმოდგენილი. აქვე დაამატა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭომ არცერთი არგუმენტაცია არ გაითვალისწინა, ექსპერტებისვე რეკომენდაციის გათვალისწინებით, მათი შეფასების და აკრედიტაციის დებულების მიხედვით დაწესებულებას შეეძლო მიეღო განსახილველი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია შესაბამისი სამართლებრივი ვალდებულებებით. მან თქვა, რომ იგივე რეკომენდაციებს ითვალისწინებს ამ შემთხვევაში აკრედიტაციის საბჭო, მაგრამ არ არის წარმოდგენილი დამატებითი დასაბუთება განსხვავებული გარემოების თვალსაზრისით. კერძოდ, საბჭომ „ნაწილობრივი შესაბამისობა მოთხოვნებთან“ ჩამოიტანა „არ არის შესაბამისი“ სტანდარტთან და არავითარი სამართლებრივი დასაბუთება არ არის წარმოდგენილი, თუ რატომ გადაწყვიტა აკრედიტაციის საბჭომ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცვლილება. მან ყურადღება გაამახვილა აკრედიტაციის დებულების 27 მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის მიხედვით საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ასევე მან დაამატა, რომ ამას ავალდებულებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და ზოგადად, 53-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანო ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და აქვე მაგალითად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც მოიყვანა. 2021 წლის 21 აპრილს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებით „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებით, დასაბუთებაში უნდა აღინიშნოს, შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილებების მიღების დრო“. დაწესებულების წარმომადგენელი კი

ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში ექსპერტების რეკომენდაციას ითვალისწინებს აკრედიტაციის საბჭო როგორც ადმინისტრაციული ორგანო, მაგრამ ექსპერტების შეფასების ნაწილში, რომლის გარემოებებსაც რეალურად ცვლის და მოთხოვნებთან ნაწილობრივი შესაბამისობა იცვლება, როგორც არ არის შესაბამისი. ამ გარემოებების ცვლილებას აკრედიტაციის საბჭო არ ასაბუთებს. შესაბამისად, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, ასევე აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მიხედვით და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, შეხედულებები და მოსაზრებები უნდა იყოს განმარტებული მხარისათვის, იმისათვის რომ, მხარემ გაიგოს რეალურად რას ეფუძნებოდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება. ეს განმარტებები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტში არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, ეს არის ერთგვარი სამართლებრივი გარემოება, რომლის საფუძველზეც დაწესებულება მიმართვას ამ შემთხვევაში კანონით უფლებამოსილ პირებს, რომ მხედველობაში მიიღონ ეს სამართლებრივი გარემოება. აქვე დაამატა, რომ ისინი აქ შეკრებილნი არ არიან რეკომენდაციის შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა სამართლებრივი დასაბუთება წარმოადგინა იმაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაასაბუთოს და ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითოს, რა იყო მათ მიერ მხედველობაში მიღებული, როდესაც შესაბამის გადაწყვეტილებას იღებდნენ. არჩილ ჯანგირაშვილის მტკიცებით, სათანადო დასაბუთება არ არის წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში. აქვე მან დაამატა, რომ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, დაწესებულებას არ ექნებოდა შესაბამისი სამართლებრივი წარმოება. მან ასევე აღნიშნა, რომ სამართლებრივი გარემოების დასაბუთების გარეშე, გადაწყვეტილებაში საბჭომ დაამატა სამი რეკომენდაცია, მაგრამ წილობრივად რა გავლენას ახდენს იმ თვალსაზრისით, რომ შეიძლება მთლიანად სტანდარტის ფაქტობრივი გარემოებები შეეცვალა, ეს არ არის აქტში მოცემული. დამატებულ რეკომენდაციებში საუბარია კრეატიული მარკეტინგის სილაბუსზე, სადაც დამატებულია, რომ სილაბუსში ძირითადი სასწავლო ლიტერატურა განისაზღვროს რელევანტობის თვალსაზრისით. არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებისთვის გაუგებარია, არჩევით კურსებში ლიტერატურის დამატება რამდენად შეიძლება იყოს საფუძველი, რომ მთლიანად შეიცვალოს ფაქტობრივი გარემოება. მან ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ რეკომენდაციებზე: რეკომენდებულია, პროგრამის შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, მოიძებნოს კურსების სპეციფიკის შესაბამისი ფორმები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და მათ დემონსტრირებას შემოქმედებით დარგებში. დაწესებულების განმარტებით, მათთვის ეს რეკომენდაცია საერთოდ გაუგებარია, და ესაჭიროებათ უფრო დეტალური განმარტება, რათა უკეთ გაეგონ, რა ჰქონდა ადმინისტრაციულ ორგანოს მხედველობაში, როცა ამ რეკომენდაციას გასცემდა. დაწესებულებამ კი გადაწყვეტილებაში და ოქმში მსგავსი ჩანაწერი ვერ ნახა. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია დაწესებულებისთვის გაუგებარი რჩება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა ასევე გაამახვილა ყურადღება აკრედიტაციის საბჭოს მიერ დამატებულ მესამე რეკომენდაციაზე: რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები წარმოდგენილი იყოს თანდართულ დოკუმენტაციაში. მისი განმარტებით, სააკრედიტაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია გადაამოწმეს უსდ-ში და ნამდვილად იყო წარდგენილი. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელები არიან კომპეტენტური პირები აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით. აკრედიტაციის სტანდარტი განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელობის კრიტერიუმებს და შესაბამისად ეს გარემოება ექსპერტების მიერ იყო დადასტურებული. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭო არ აყენებს ექვემდებარებას პროგრამის ხელმძღვანელების კომპეტენციას. უბრალოდ აქ საუბარია თანდართული დოკუმენტები იყო თუ არა წარმოდგენილი. თუნდაც არ ყოფილიყო წარდგენილი ერთი დოკუმენტი, ეს გარემოება რამდენად შეიძლება იყოს სტანდარტის შეფასების ცვლილების საფუძველი. სტანდარტების

შეფასების ცვლილების საფუძვლების განმარტება გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი არ არის. დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა სააპელაციო საბჭოს იმსჯელოს მათი არგუმენტების სამართლებრივ საფუძველზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა განმარტა, რომ ის გარკვეული დროის განმავლობაში იყო აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე და წევრი. მან გაიხსენა, რომ საკმაოდ ხშირად ცვლიდნენ შეფასებას თუ ხედავდნენ, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და მათი შეფასება (სიმძიმე/სიმარტივის გათვალისწინებით, ანუ ხარისხობრივი ნიშნით) დასკვნაში არ იყო ერთმანეთის შესაბამისი. საბჭოს წევრები ამ რეკომენდაციების შინაარსს აფასებდნენ და მათი დისკრეციის ფარგლებში, ბევრჯერ მიუღიათ გადაწყვეტილება და შეუცვლიათ სტანდარტის შეფასებები, როგორც დადებითისაკენ, ასევე უარყოფითისაკენ. ირაკლი ბურდულმა, ასევე გაიხსენა როგორც შპს საქართველოს უნივერსიტეტის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების შემთხვევები, როდესაც შეიცვალა სტანდარტის შეფასება. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც სტანდარტთან მიმართებაში ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციის შინაარსი იყო გაცილებით მძიმე, ვიდრე ამ სტანდარტის შეფასება და საბჭოს გადაწყვეტილებით სტანდარტი შეფასებულა უარყოფითად. ასევე უარყოფითად შეფასებული პროგრამების შეფასება საბჭოს წევრებს შეუცვლიათ დადებითი შეფასებით და აკრედიტაციაც მიუნიჭებიათ. მან იკითხა, შეიცვალა თუ არა ამ თვალსაზრისით აკრედიტაციის დებულებაში ან კანონმდებლობაში რაიმე. ასეთ შემთხვევებში ძირითადად მათი დასაბუთება სწორედ ის იყო რომ ეყრდნობოდნენ ექსპერტების დასკვნას. შესაბამისად, ექსპერტების დასკვნაში წარმოდგენილ შინაარს იზიარებდნენ, მაგრამ არ იზიარებდნენ სტანდარტებთან მიმართებაში მათ შეფასებას. საბჭო ამბობდა, რომ ეს რეკომენდაცია შინაარსობრივი თვალსაზრისით არ უნდა იყოს ასეთი შეფასების და უნდა იყოს უფრო მაღალი ან უფრო დაბალი შეფასებით. შესაბამისად, მაშინდელი საბჭოს გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა შინაარსობრივი თვალსაზრისით ექსპერტთა დასკვნებს. ეს იყო ასახული სხდომის ოქმში, რომელიც იყო აკრედიტაციის გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილი. როდესაც საჩივრდებოდა გადაწყვეტილება, საჩივრდებოდა საჯაროდ გამოქვეყნებული ოქმის საფუძველზე, რადგან იქ იყო შინაარსი მოცემული. ირაკლი ბურდულმა ასევე განმარტა, რომ იგი დეტალურად გაეცნო „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხზე გამართული სხდომის ოქმს, რომელშიც 14-15 გვერდზე არის წარმოდგენილი განხილვა და მსჯელობა, მოცემულია კონკრეტული შეკითხვები და მიმდინარეობს პაექრობა. ოქმში ასევე წარმოდგენილია დაწესებულებისა და ექსპერტების პოზიცია, თავმჯდომარის პოზიცია და ა.შ. ამას მოჰყვება დასკვნა. სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რა უნდა გაეკეთებინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების უკეთ დასაბუთებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ მათაც ჰქონიათ შემთხვევები, როცა ბევრჯერ უკამათიათ, რაც ბუნებრივი პროცესია ადმინისტრაციული წარმოების დროს. მან განმარტა, რომ ოქმში უთითებდნენ იმ გარემოებას, რომ მაგალითად, თუ რატომ არ ეთანხმებოდნენ ექსპერტების შეფასებას. ეს მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვეტილების შინაარსობრივი ნაწილი უნდა გაიგონ და იცოდნენ რომელ დოკუმენტს უნდა დაეყრდნონ - გადაწყვეტილებას ან ოქმს. ამ შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, მაგრამ გაუგებარია რა გარემოებების გათვალისწინებით დამძიმდა სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. აქვე არჩილ ჯანგირაშვილმა დაამატა, რომ მეტი შინაარსობრივი საფუძველი არ იყო წარმოდგენილი და მისთვის, როგორც იურისტისთვის, გაუგებარი იყო საბოლოოდ დამდგარი შედეგი და რა გარემოებებს ეფუძნებოდა ეს შედეგი. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში, მისი განმარტებით, უბრალოდ ჩანს, რომ სტანდარტთან ნაწილობრივი შესაბამისობის გადაწყვეტილება შეიცვალა „არ არის შესაბამისობაში“ შეფასებით, მაგრამ ძირითადი გარემოებები არც გადაწყვეტილებაში ჩანს და არც ოქმში. შესაბამისად, თუ ვინმე იკითხავს,

განვილი პერიოდიდან გამომდინარე, იგივე პრაქტიკაში იყო თუ არა განსხვავებული მდგომარეობა, იგი უპასუხებს რომ მას ჰქონია უფრო მეტი დასაბუთება, რომლის მიხედვითაც იღებდა გადაწყვეტილებას, აზრი ჰქონდა თუ არა სამართლებრივ დავას. ამ შემთხვევაში ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები, მაგრამ არ არის დასაბუთებული ამ რეკომენდაციების გაზიარების შედეგად რატომ შეცვალა აკრედიტაციის საბჭომ ექსპერტების მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ შეუძლიათ იმაზე იმსჯელონ, ის სამი რეკომენდაცია იყო თუ არა იმ ტიპის და იმ წონის, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა ამ ახალი გარემოების დადგენა. დაწესებულების მოსაზრებით აკრედიტაციის საბჭოს მიერ დამატებული რეკომენდაციებიც არის იყო იმ სიმძიმის, რაც გამოიწვევდა სტანდარტთან შეუსაბამობის შეფასებას. მესამე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის ხელმძღვანელების CV-ებს, ეს საკითხი სტანდარტით არ არის განსაზღვრული. სტანდარტი უბრალოდ ამბობს, რომ ექსპერტები უნდა დარწმუნდნენ, პროგრამის ხელმძღვანელების კომპეტენციაში. აქ მათი კომპეტენციის საკითხო როგორც ექსპერტების მხრიდან, ასევე საბჭოს მხრიდანაც ექვევებ არ დგას.

აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან თქვა, რომ ძირითადად მათი დისკუსია, გადაწყვეტილების მიღების საფუძველები ეყრდნობა დოკუმენტების შესწავლას, ექსპერტების განმარტებას, დასკვნას და დაწესებულების პოზიციას, რაც ოქმში დეტალურად არის აღწერილი. მაგალითად ერთ-ერთი საკითხი, თუ რატომ დაიწია სტანდარტის შეფასება არის თვითონ რეკომენდაციების შინაარსთან დაკავშირებული და აღწერილია ოქმში. მან ასევე თქვა რომ, რეკომენდაციებზე მსჯელობისას საბჭო ანალიზებს მათ სიმძიმეს და სავარაუდოდ რა დრო დასჭირდება დაწესებულებას მათ შესასრულებლად. ამ შემთხვევაში საკამოდ დიდი რისკის მატარებელი იყო რეკომენდაციების შინაარსობრივი მხარე. აკრედიტაციის საბჭომ იმსჯელა ამ რისკებზე და რეკომენდაციების სიმძიმეიდან გამომდინარე მიიღო გადაწყვეტილება შეეცვალა სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ეს არის ფაქტობრივი გარემოებები, რაც დეტალურად არის აღწერილი ოქმში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა მიმართა გოდერძი ბუჩაშვილს, წარმოედგინა კონკრეტული მაგალითები, რაც აღწერილი ოქმში და ადგენდა ახალ ფაქტობრივ გარემოებებს, რის საფუძველზეც შეიცვალა ექსპერტთა მიერ გაცემული შეფასება. არჩილ ჯანგირაშვილმა თქვა, რომ აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, რომ დაწესებულებას უნდა მიეცეს აკრედიტაცია და განესაზღვროს დამატებითი შეფასების პერიოდი 1 ან მაქსიმუმ 2 წლის ვადით, თუკი საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი პოტენციალი რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. თუ არ აქვს შესაბამისი პოტენციალი, მაშინ უნდა იყოს დასაბუთებული, თუ რას ეყრდნობა საბოლოო გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში დაწესებულება ადმინისტრაციულ ორგანოსთან იმიტომ წარსდგა, რომ მიეთითებინა დანარჩენ ნაწილზე რასაც არ ეთანხმებოდნენ. შესაბამისად, მთავარი შეკითხვაა, რატომ არ არის განმარტებული, რატომ ჩათვალა აკრედიტაციის საბჭომ, რომ იმ ორ წელიწადში ვერ შეასრულებდნენ მიღებულ რეკომენდაციებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, მირზა-პაპუნა დავითაია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან განმარტა, რომ იყო გაცემული 19 რეკომენდაცია. ამ 19-დან უმეტესობა მაშინვე გაითვალისწინეს. დანარჩენი რეკომენდაციების შესრულება კი შესაძლებელი იყო დროის მოკლე პერიოდში.

გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ 19 რეკომენდაციაზე არ არის საუბარი. აქ საუბარია 29 რეკომენდაციაზე. იგი განმარტავს, რომ ოქმში წერია, რომ ამ რეკომენდაციების შინაარსობრივი ნაწილი და მათი სიმძიმე განაპირობებს აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მან აქვე დაამატა, რომ დაინტერესებული მხარეები სწორედ ამიტომ არიან წარმოდგენილი სააპელაციო საბჭოზე რათა იმსჯელონ და მისთვის მისაღები იქნება სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ საჭიროა საკითხის იურიდიული ასპექტის განმარტება. კერძოდ, აუცილებელია, რომ სხდომის ოქმში ან გადაწყვეტილებაში ნათლად იყოს დასაბუთებული აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

გოდერძი ბუჩაშვილმა უპასუხა, რომ ამასთან დაკავშირებით არის საუბარი სხდომის ოქმში და რეკომენდაციების სიმძიმიდან გამომდინარე მოხდა ცვლილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა დაამატა, რომ ეს არის ნამდვილად სამართლებრივი ასპექტი, რომელიც მათ აღნიშნეს და დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი სამართლებრივი მტკიცებულება. მან ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოზე შეიტყო, რომ აკრედიტაციის საბჭო ოქმში აღწერს, რომ გადაწყვეტილების სიმძიმიდან გამომდინარე დაიწია სტანდარტის შეფასება. მაგრამ, კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ოქმში არ არის მითითებული შეფასების შეცვლის საფუძველი. მისი აზრით, ცვლილების საფუძველია ახალი წონადი რეკომენდაციების შემოტანა, რომელიც რეალურად ექსპერტებმა ვერ შეაფასეს და მეორე აკრედიტაციის საბჭო ახლა მიუთითებს ამ გარემოებებს. ამ შემთხვევაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად არსებობს ვალდებულება დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ განიხილა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და უმეტეს ნაწილი გათვალისწინებული ქონდათ, რაც მირზა-პაპუნა დავითაიამ დაადასტურა. ასევე არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებას გაგზავნილი ჰქონდა თავისი დასაბუთება და შესაბამისად საბჭომ იცოდა იმ რეკომენდაციებიდან უკვე რამდენი იყო გათვალისწინებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მირზა-პაპუნა დავითაიამ დაამატა, რომ მათ შეიმუშავეს კინოს სწავლების საქართველოს კონტექსტისთვის. ეს მეთოდი მათ გადმოიღეს ნიუ იორკის კინო აკადემიიდან. ნიუ იორკის კინო აკადემია თავისი დონით ამ სფეროში არის ჰარვარდის დონის. მოცემული მეთოდი არის აბსოლუტური სიახლე რეგიონში და გასაგებია ისიც, რომ შეიძლება ეს ადამიანებში გარკვეულ სკეპტიციზმს იწვევდეს. ძირითადი შეკითხვებიც სწორედ ამას ეხებოდა, თუ რატომ არ თხოვს დაწესებულება ამ მაგისტრანტებს წინარე შემოქმედებით გამოცდილებას. ასეთია ნიუ იორკის კინოაკადემიის მეთოდი და არის ძალიან წარმატებული, მიუხედავად იმისა, რომ არ ითხოვენ წინარე გამოცდილებას. გარდა იმისა, რომ მათ სამაგისტრო პროგრამა გადმოიღეს, დაწესებულება ასევე ახორციელებს კინოწარმოების მოკლე სასერტიფიკატო პროგრამას, რომელიც ძალიან დიდი წარმატება აქვს. პროგრამის მონაწილეებმა სამ თვეში შექმნეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები, რაც მანამდე სხვა მეთოდებით შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება თეორიის სწავლებას, დაწესებულების წარმომადგენელმა, მირზა-პაპუნა დავითაიამ განმარტა, რომ კინო სხვა სპეციფიკაა და არ სჭირდება ამდენი თეორია. ადამიანმა უნდა გადაიღოს ფილმი და ამ პრაქტიკაში სწავლობს თეორიას. აქვს გარკვეული თეორიის ნაწილი, მაგრამ დანარჩენს სწავლობს გადაღების პროცესში. ესეც პირდაპირ გადმოღებულია ნიუ იორკის სკოლიდან და შესაბამისი კურიკულუმიც არის წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა ითხოვა, დაეზუსტებინათ, იყო თუ არა ასეთი პროგრამის ანალოგი საქართველოში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა უპასუხა, რომ როგორც მათ გაარკვიეს, ამ პროგრამის ანალოგი საქართველოში არ არის. ანალიზის დროს შეისწავლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული აუდიო ვიზუალური ხელოვნების პროგრამების, რომელთა შინაარსი არ ემთხვევა მათ მიერ შემუშავებულ პროგრამას. ცალკე არსებობს სარეჟისორო და საპროდუსერო პროგრამები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მირზა-პაპუნა დავითაიამ განმარტა, რომ ძველი მიდგომა იყო შემდეგი: სწავლობდნენ ვიწრო სპეციალობებს, მაგალითად, დრამატურგია ანუ სცენარის დაწერა, რეჟისურა და ა.შ., ამერიკული მიდგომით კი ისწავლება ყველაფერი ერთად იმიტომ, რომ ოპერატორმა უნდა იცოდეს რეჟისურის საქმე, რეჟისორმა უნდა იცოდეს დრამატურგის საქმე და ა.შ.. შემდეგ კი კინო მეწარმე თვითონ გადაწყვეტს, რომელი მიმართულება აინტერესებს. სწავლის დასრულებისას უკვე გამოცდილება აქვთ თითქმის ყველა

მიმართულებით. ეს არის განსაკუთრებულობა. აღნიშნული სწავლების მიდგომა წარმატებით დანერგეს უკვე სასერტიფიკატო დონეზე და ახლა უნდა დანერგონ სამაგისტრო დონეზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა დაამატა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში მათთვის უცნაური იყო ის, რომ რეკომენდაციების გათვალისწინებისა და ასევე იმ სამი რეკომენდაციის დამატების მიუხედავად, რომელიც წაიკითხა და შინაარსობრივი ნაწილი განსაზღვრა, რამდენად იყო საფუძვლიანი უარყოფითი გადაწყვეტილების მისაღებად. მთავარი ის არის, რომ სამართლებრივი წარმოების დროს, როგროც განმარტა უზენაესმა სასამართლომ, უნდა იყოს დეტალური დასაბუთება ყველა გარემოებაზე, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რასაც ეყრდნობა ხოლმე ადმინისტრაციული ორგანო. ამ საქმეში მსგავსი გარემოება იმიტომ არის განმარტებული, რომ იმ მხარეს სამართლიანობის შეგრძნება ჰქონდეს და იცოდეს ის რეალური საფუძველი, რაზე მსჯელობდა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო კონკრეტულ სიტუაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს, სურდათ თუ არა რაიმეს დამატება.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:15

დასრულების დრო: 17:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 5;

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს, შემდეგი მითითებებით: სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე და საქმის აკრედიტაციის საბჭოსათვის გაგზავნისა და ხელახალი განხილვისთვის. გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს აკრედიტაციის საბჭოს ფორმალური დასაბუთების ხარვეზი. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული (განსაკუთრებით პროცესუალური ნაწილის) კანონმდებლობისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ჩამოყალიბებული და დადგენილი პრაქტიკის (იხ. მაგ. უახლესი პრაქტიკა: სუსგ #ბს-1012(კ-18), 20.06.2019; ასევე, სუსგ #ბს-21(კ-21), 28.09.2022) შესაბამისად, (კვაზი)ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ის, რომ აკრედიტაციის საბჭო, მისი დისკრეციის ფარგლებში, მოქმედებდა და უფლებამოსილი იყო გაეზიარებინა ან არ გაეზიარებინა აკრედიტაციის ექსპერტთა და დასკვნაში მოყვანილი რეკომენდაციები, ეჭვს არ იწვევს. არც ის არის საკამათო, თუ რამდენად შინაარსობრივი თვალსაზრისით სწორად შეცვალა ამ უკანასკნელმა (აკრედიტაციის საბჭომ) დასკვნის სარეზოლუციო ნაწილში აღნუსხული რეკომენდაციები (ამას სააპელაციო საბჭოც იზიარებს). საკამათო მხოლოდ ის არის, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გამოტანილ არც გადაწყვეტილებაში და არც ოქმში (რომელიც განმარტებისა და იურიდიული


დასაბუთებულობის ნაწილში გადაწყვეტილებასთან ერთად მის შემადგენილ ნაწილს ქმნის) არ არის ფორმალურ-სამართლებრივი მითითება რეკომენდაციათა შეცვლის (დადაბლების/ჩამოწევის) მიზეზთა თაობაზე. ეს კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობას უქმნის ხარვეზს, რაც მისი გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 01 ნოემბრის 17:48 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სუმბაძე არჩილ

